ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 49 (10087) •15 dekemberi • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## ჟურნალისტთა პროფკავშირები იქმნება

*"საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია" „ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციასთან" ერთად ევროკავშირის მხარდაჭერით, ახორციელებს რეგიონული მასშტაბის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაში მედიისა და ჟურნალისტების სოლიდარობის ინსტიტუტის განვითარება-გაძლიერებას, დამოუკიდებელი მედია-პროფკავშირების შექმნა-გაძლიერებას. პროექტის ფარგლებში ასოციაციას დაგეგმილი აქვს შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა რეგიონში, რომ შეისწავლოს მედიაში არსებული მდგომარეობა. ევროკავშირის ამ 3-წლიანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგები და სხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველ მედიაპროფესიონალებს იყვნენ უკეთ აღჭურვილი საკუთარი უფლებებით.*

*12 დეკემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მედიაპროფკავშირის წარმომადგენლები ოზურგეთელ ჟურნალიტებს შეხვდნენ.*

*როგორც დამოუკიდებელი მედია-პროფკავშირის წარმომადგენელმა რამაზ სამხარაძემ განაცხადა აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილე მედიის წარმომადგენლები შერჩევის გზით აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ტრეინინგში და ღონისძიებაში, რომელსაც მედიაპროფკავშირი დაგეგმავს.*



## მილოცვა



*ბატონ გიორგი ჩხაიძეს გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს და ულევ სიხარულს ოჯახთან ერთად.*

*ასევე, გვინდა, მადლობა გადავუხადოთ იმისათვის, რომ იყო ღირსეული, ობიექტური და უბრალოდ კარგი ხელმძღვანელი, რომელთანაც მუშაობაც დიდი პატივი და იმავდროულად სიამოვნება იყო თითოეული ჩვენგანისთვის.*

*ვუსურვებთ წარმატებებს.*

***გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები.***



## სიახლე ქალაქ ოზურგეთის მერიის ხელმძღვანელობაში



ალეკო ბურჭულაძე



კობა დუდუა

**შაბათს, 18 საათზე, ქალაქ ოზურგეთის მერიიდან „ალიონისათვის" მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, ოზურგეთის მერის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე, ქალაქ ოზურგეთის ვიცე-მერად დაინიშნა ბატონი ალეკო ბურჭულაძე ხოლო ქალაქ ოზურგეთის მერის მოადგილედ – ბატონი კობა დუნდუა.**

**ბატონ ალეკო ბურჭულაძეს ბოლო დროს ქალაქის მერის მოადგილის თანამდებობა ეკავა, ბატონი კობა დუნდუა კი თავისი მამის ჯუმბერ დუნდუას მიერ დაარსებულ სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გურიას" ხელმძღვანელობდა.**

## მთისპირლები წყალზე მრიცხველების დადგმას კვლავ აპროტესტებენ

**ალიონი.** სოფელ მთისპირის მცხოვრებლები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიას და მუნიციპალიტეტის გამგებელ მერაბ ჭანუყვაძეს შეხვდნენ. შეხვედრის თემა კვლავ წყლის მრიცხველები იყო.

როგორც ცნობილა, მთისპირში, ასკანასა და მშვიდობაურში ახალი წყალსადენის ქსელი კეთდება, რომელიც გაფილტრულ წყალს მიაწვდის აღნიშნული სოფლების მოსახლეობას და ასკანაში მშენებარე ღვინის მარანს.

მთისპირლები ამბობენ, რომ სოფელმა წლების წინ საკუთარი რესურსით გააკეთა წყალსადენი, რომელსაც იყენებდნენ როგორც სასმელად, ისე სარწყავად და სხვა დანიშნულებით. აი, რას წერენ ისინი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს: „სოფელ მთიპირში წლების განმავლობაში მოქმედებს წყალსადენი, რომლის სათავე ნაგებობა, მილები და წყალსაცავი აშენებულია სოფლის მოსახლეობის ძალებით. წყალი მოედინება თვითდინებით. ამ დროს ადგილობრივი თვითმმართველობა გვთავაზობს არსებულ წყალსადენზე ფილტრის დაყენებას და წყალი მოსახლეობას მიეყიდება მრიცხველის საშუალებით, რაზედაც ჩვენ, სოფლის მოსახლეობა წინააღმდეგი ვართ, რადგან აღნიშნული წყალი ჩვენ გვჭირდება არა მარტო სასმელად, არამედ საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად (სარწყავად, პირუტყვის დასარწყულებლად). ჩვენი სოფელი მაღალმთიანია, ეროზირებული. არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს სარწყავი არხები. ისედაც შეჭირვებული მოსახლეობა დღევანდელი უმუშევრობის პირობებში თავს ვირჩენთ სოფლის მეურეობის პროდუქტების წარმოებით, რასაც ფასიანი წყლით სარგებლობის პირობებში ვერ უზრუნველვყოფთ, რაც გამოიწვევს სოფლის მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკებას და სოფლის მოსახლეობიდან დაცლას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა და არსებული წყალსადენი დაგვიტოვოთ უცვლელ მდგომარეობაში".

წერილს ხელს აწერს ათეულობით მთისპირელი.

თუმცა, სოფლის მოსახლეობა გაცილებით მეტ პრობლემაზე საუბრობდა და კითხვას უსვამდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე პასუხს სცემდნენ და განმარტებებს აკეთებდნენ დასმულ კითხვებზე.



- არაფერი კეთდება მთისპირისთვის. გზა ჩვენ არ გვაქვს, ელექტროგამრიცხველიანებას არ დაადგა საშველი. ერთადერთი საბავშვო ბაღი კეთდება. - უთხრა გამგებელს ერთ-ერთმა მთისპირელმა.

-„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლამდე მართლაც მივიწყებული იყო ეს სოფელი. ჩვენ კი, მოკლე პერიოდში ამ სოფელში რაღაც გავაკეთეთ. პრობლემები სხვა სოფლებსაც აქვთ. შეგიძლიათ ნახოთ რა პრობლემებია, რა გაკეთდა შრომაში, კონჭკათში, თხინვალში და ა.შ. მალე იქნება გამრიცხველიანება, სხვა პროექტები.

გამომსვლელთა შორის ორი პედაგოგის პოზიცია დავაფიქსირეთ. ერთი მაყვალა გუჯაბიძე გახლდათ, რომელმაც წყლის მრიცხველი უკვე დაიდგა. იგი ამბობდა, რომ მოხუცი დედა ჰყავს და მისთვის წყალი მნიშვნელოვანია და ამიტომ ვერ ჩაერთვებოდა ამ პროცესში; მეორე მარინა ძავაშვილი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი არ იყო მზად დიალოგისთვის, რადგან არ იციან, რა ტარიფს დაუწესებს მთისპირლებს წყლის მარეგულირებელი კომისია. როცა ეს ეცოდინებათ, შემდეგ გადაწყვეტს მოსახლეობა, დაიდგას თუ არა მრიცხველები.

▶▶▶ გვ-2

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15.12 | 16.12 | 17.12 | 18.12 | 19.12 | 20.12 | 21.12 |
| წვიმა, | მზე | ღრუბელი | ღრუბელი | ღრუბელი, | ღრუბელი | მზე, |
| +8+13 | +8+15 | +12+18 | +10+18 | +7+16 | +10+16 | +9+16 |

# მალე ოზურგეთი-ლანჩხუთის რკინა-ბეტონის გზის სარემონტო სამუშაოები დაიწყება

ალიონი. სოფ. ოზურგეთის ცენტრიდან ბაილეთი-ჯუმათი-იანეთი-გულიანი-ნინოშვილი-ჩიბათის ჩათვლით სამი წლის წინ რკინაბეტონის გზა დაიგო. გზა, რომელსაც 20-წლიანი გარანტია ჰქონდა, თანდათან გამოდის მწყობრიდან. ყველაზე მძიმე მდგომარეობა სოფლებში — გულიანსა და ეწერშია. გზის ცალკეული მონაკვეთები დაიმეწყრა სოფელ ბაილეთშიც.

ამ თემაზე რედაქციას სწორედ ბაილეთის მცხოვრებლებმა მომართეს.

როგორც შპს „გზამშენი 18"-ის უფროსმა თემურ ჯახვამ გვითხრა, ამ გზის რეაბილიტაციაზე სატენდერო კომისიამ 800 ათასი ლარი გამოყო. გამარჯვებული უკვე გამოვლინდა და სარეაბილიტაციო სამუშაოები აქაც მალე დაიწყება.



# ძიმითის ხიდის გამაგრებით სამუშაოებს შპს „გაბიონი 200" შეასრულებს

ალიონი. წინა ნომერში (№48, 8. 12. 2014 წ.) დაიბეჭდა წერილი სოფელ ძიმითში, მდინარე სუფსაზე ხიდის ავარიული მდგომარეობის შესახებ. ამ ხიდით ქალაქ ოზურგეთი სოფლებს — ძიმითს, მამათს, აცანას და ქალაქ ლანჩხუთს უკავშირდება.

როგორც შპს „გზამშენი-18-ის"უფროსმა თემურ ჯახვამ რედაქციას აცნობა, რამდენიმე დღის წინ რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ტენდერი ჩაატარა. სატენდერო თანხა 518 790 ლარს შეადგენდა. ტენდერში მონაწილეობდნენ შპს „ხიდმშენი 99," შპს „არილი" და შპს „გაბიონი 200." ამ უკანასკნელმა ყველაზე ნაკლები თანხა (415 000 ლარი) წარადგინა სატენდეროდ და გაიმარჯვა. ხიდის გამაგრებითი სამუშაოები მალე დაიწყება.




# მდინარე ბჟუჟზე ხიდი განათდა



ქ. ოზურგეთში, მდ. ბჟუჟზე, სოფ. მაკვანეთთან დამაკავშირებელ ხიდზე ა (ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის"განათების სამსახურმა ორსექციანი 6 ახალი ლამპიონი დაამონტაჟა. სამუშაოების თანხა ქ. ოზურგეთის მერიამ გაიღო.

# მთისპირლები წყალზე მრიცხველების დადგმას კვლავ აპროტესტებენ



სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვლადიმერ ჩავლეიშვილმა** თქვა, რომ უკვე მესამედ ავიდა სოფელში კონსესუსის მისაღწევად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და შედეგი არაა. ამიტომ, მშენებლებლებთან ერთად, უნდა მიიღონ გადაწყვეტილება - დაიდგას თუ არა მრიცხველები, თუ პროექტში კორექტირება მოხდეს.სოფლის მოსახლეობის შეხვედრის დასასრულს მთისპირელმა ომარ მახარაძემ გვაცნობა, რომ ვანისქედში, ეკლესიის ეზოში სასაფლაო ჩამოინგრა და მიცვალებულების ძვლები ჩამოიტანა. ეკლესიის მღვდელი აგროვებს ძვლებს და ინახავს. საჭიროა სასაფლაოს სასწრაფო შემოღობვა, რადგან, პირუტყვისაგან დაიცვან. საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ დაავალა სოფლის დეპუტატს, გადასცეს სოფელს, მასთან შესანახად მიბარებული კბილანებიანი მავთულის საჭირო რაოდენობა სასაფლაოს შემოსაღობად.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის ხელმძღვანელის **ლევან ხინთიბიძის** თქმით, საინტერესო და ნიშანდობლივი სიტუაციაა შექმნილი:

„ ჯერ ერთი აქვს კი მუნიციპალიტეტს მრიცხველების დადგმის უფლებამოსილება? ვინ მიანიჭა მას ეს უფლება? ტარიფს როგორ ადგენენ? რომელი სამსახური განახორციელებს და იქნება პასუხისმგებელი წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე? როგორ ახორციელებენ წყლის ხარისხის შემოწმებას და რა პერიოდულობით? როგორი იქნება წყლის მიწოდების ინტენსივობა, დაწნევა წყლის მილებში? ვინ გააკონტროლებს ამას? რომელი სამსახური იქნება უფლებამოსილი აკრიფოს წყლის გადასახადი და როგორ იქნება ეს აღრიცხული ბიუჯეტში? ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხებია გასაცემი და მერე შეიძლება სოფლის მოსახლეობას დავუდგათ წყლის მრიცხველები!!!"

# თამუნა შავაძის ტკივილი და სიხარული

**ალიონი.** წლების მანძილზე არაერთი წერილი დაიწერა შშმ პირის თამუნა შავაძის შესახებ, იწერებოდა რამდენიმე წლის წინ სოფელ მთისპირში (უკანავა), რა ტრაგედია დატრიალდა შავაძეების ოჯახში და როგორ მიეჯაჭვა საწოლს თამუნა შავაძე.

პირველი, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა გოგონას, მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი) იყო, შემდეგ თანდათან დაიძრა ყინული. თამუნას დედა მერი შავაძე აწუხებდა ხელისუფლებას, დეპუტატებს, ახლობლებს, მეგობრებს. ბავშვობის მეგობარმა, ცნობილმა მომღერალმა ვალერი მელაძემაც გაიგო და დაუფინანსა მკურნალობის ერთი კურსი ყირიმში.

მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცამ ტელეგადაცემაში „ვის უნდა 20 000" მონაწილეობის საშუალება დაუბლოკა თამუნას, მისი სულიერი სიმტკიცის და ოპტიმიზმის წყალობით, ჯანმრთელობა პროგრესისკენ მიდიოდა, მაგრამ არ ხერხდებოდა მისი სარეაბილიტაციოდ წასვლა, თუმცა შშმ პირი ეტლში მჯდომი ახერხებს სხვა შშმ პირებთან შეხვედრას, კითხულობს წიგნებს და ელოდება კეთილი ადამიანების თანადგომას.

თამუნას დედამაც გაიკეთა საკმაოდ რთული ოპერაცია და კვლავ სჭირდება ოპერაცია, მაგრამ მისი პირველი საფიქრალი თამუნაა. ქალბატონი მერი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს შეხვდა და დახმარება სთხოვა. ამ შეხვედრას გაზეთი „ალიონიც" ესწრებოდა. ბატონმა ზვიადმა მისცა პირობა, იმუშავებდა იმაზე, რომ თამუნას დახმარებოდა.

გასული თვის ბოლოს ოზურგეთში საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, პრემიერის მრჩეველი დემოგრაფიულ საკითხებში დიმიტრი ხუნდაძე ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას მერი შავაძეც ესწრებოდა. ზვიად კვაჭანტირაძემ იგი ხუნდაძეს შეახვედრა და სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებისთვის საჭირო თანხის გამოყოფაზე დახმარება სთხოვა. შავაძემ დახმარების პირობა მიიღო.

რამდენიმე დღის წინ თამუნა შავაძის სახელზე ორი წერილი მივიდა. ერთი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან და მეორე ამ სამინისტროს სოციალური დაცვის სამსახურისაგან, სადაც ერთში ადრე გაგზავნილ მიმართვაზე იყო უარყოფითი პასუხი, ხოლო მეორეში ელექტრო სავარძელ-ეტლის მოთხოვნის მომავალში განხილვის შესახებ.

გასულ ხუთშაბათს შავაძეების ოჯახს ეცნობა, რომ გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე აპირებდა ასვლას. ცნობილი მოვლენის გამო ასვლა არ შედგა. გიორგი ჩხაიძე გადადგა.

თუმცა, ორშაბათს გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები ავიდნენ მთისპირში და გუბერნატორის საჩუქარი - ლეპტოპი გადასცეს თამუნას.

მომდევნო დღეს კი მედიით შავაძეების ოჯახიდან პარლამენტარებზე



უარყოფითი ინფორმაცია წამოვიდა, რასაც მალე მერი შავაძის ზარი მოჰყვა, სადაც იგი შეწუხებული იყო რაღაც „გაუგებრობით" და გარკვევაში დახმარებას გვთხოვდა.

რედაქცია ინფორმაციას ფლობდა, რომ ზვიად კვაჭანტირაძე შავაძის პრობლემის მოგვარებაზე მუშაობდა და დადებით შედეგს ელოდა. იმ დღესვე დავუკავშირდით.

—ორი დღის წინ განიხილა თამუნას საქმე პარლამენტის შესაბამისმა კომისიამ. 48-ე სხდომის ოქმი უდევს ხუნდაძეს წინ, საკითხი საბოლოოდ დადებითად გადაჭრა—გვითხრა კვაჭანტირაძემ.

მერე რედაქციაში მერი შავაძე მოვიდა:

— ორშაბათს გუბერნატორის სამსახურიდან იყვნენ. არც ერთს არ ვიცნობ. მინდოდა „ალიონიდანაც" ამოსულიყავით... იმ დროს მოვიდნენ, როცა ქალაქში მოვდიოდი და წერილები მომქონდა.იქვე დავყარე მაგიდაზე. გიორგი ჩხაიძის საჩუქარზე მადლობა გადავუხადე. ცოტა ხნის შემდეგ ვნახე, რომ სტუმრებს წერილები გაეხსნათ და კითხულობდნენ....

—ზვიად კვაჭანტირაძემ გულით მიმიღო და დახმარებას დამპირდა. ასეთი თბილი დამოკიდებულება არც ერთი ადრინდელი დეპუტატისაგან არ მიგვძნია. ასეთ მდგომარეობაში მყავს შვილი და არც ერთმა ჟურნალისტმა არ უნდა ისარგებლოს ჩემი ემოციებით. მე ყველასგან დახმარება მჭირდება და არა ჩვენი გაჭირვებით მანიპულირება, -გვითხრა მერი შავაძემ.

# მურთაზ აბაშიძე: „მე ქართულ ოცნებას", ბიძინა ივანიშვილს არასოდეს დავუპირისპირდები"

**ალიონი.** — „რა დიდი მისახვედრი ეგაა, ეგ „ნაციონალებს" აწყობთ, „მე ქართულ ოცნებას" და ბიძინა ივანიშვილს არასოდეს დავუპირისპირდები. ვერ ეღირსებიან ამას. თუ საჭირო იქნება, ისევ გვერდით დავუდგები",— განაცხადა გასული კვირის ხუთშაბათს გაზეთ „ალიონის" რედაქციაში „მერცხალის" ვეტერანმა ფეხბურთელმა, ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის ყოფილმა დირექტორმა მურთაზ აბაშიძემ.

„კარგად იცით,რაც მოხდა,ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სტადიონის დირექტორად აღმადგინა და ქ. ოზურგეთის მერიამაც შესაბამისი ბრძანება გამოსცა. თუმცამ მეორე დღეს აუდიტის დასკვნის საფუძველზე გამათავისუფლა. ეს ცალკე თემაა და მას სასამართლოს გზით გავარკვევ, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა საჯაროდ ვთქვა — თავიდანვე გვერდით ვედექი „ქართულ ოცნებას" და დღესაც მისი ერთგული ვარ. ვიღაცეებს სურს, რომ მე „ქართულ ოცნებას" დამაპირისპიროს,სწორედ ამიტომ მიწვევენ ამჟამინდელ დირექტორთან სადებატოდ. სადაური პოლიტიკოსი მე ვარ, იმ კაცთან რა მაქვს სადებატო ან საპრეტენზიო?! თუ სურვილი აქვს, ფეხბურთში ვედებატები",— დასძინა აბაშიძემ.

სტადიონის მოქმედმა დირექტორმა, ბატონმა მამუკა გოგუაძემ „ალიონთან" საუბარში აღნიშნა, რომ,მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინფორმაციების გამო, მურთაზ აბაშიძეს მართლაც იწვევდა სატელევიზიო დებატში და საამისოდ მზადყოფნა ახლაც გამოხატა.




დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# ოზურგეთმა ავთანდილ ფიფია დაიტირა



ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, ოზურგეთში, ტრაგიკულად დაღუპული ავთო ფიფია დაიტირეს. სამგლოვიარო პროცესიაზე თავისი ღირსეული შვილის ჭირისუფალი მხოლოდ ოზურგეთი და ოზურგეთელები არ ყოფილან, თავზარდამცემ მწუხრის ზარში მათ გვერდით იდგნენ დედაქალაქიდან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და რეგიონიდან ჩამოსული მოქალაქეები.

ასეთი გლოვა ოზურგეთს კარგა ხანია არ ახსოვს. ასე ოზურგეთსა და ზოგადად საქართველოში მხოლოდ დიდი სიყვარულის კაცს დასტირიან, ასე მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებებს აცილებენ სამარადჟამო სასუფევლისკენ. ხანმოკლე წუთისოფელში, თანაც ახალგაზრდა ასაკში, მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ ასე ჰარმონიულად კაცობის, ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის, სიკეთისა და სითბოს მოპოვება, ტარება და დატოვება. ჩვენთვის საამაყოდ და საბედნიეროდაც, იმ ერთეულებშიც იშვიათი იყო ავთო ფიფია. ოზურგეთსა და ოზურგეთელებს, ალბათ, დიდხანს, დიდხანს გაუჭირდებათ მასზე წარსულ დროში საუბარი. ავთო იყო, არის და იქნება ოზურგეთელთა სიამაყე, რომლის საფლავის ქვაზე ოზურგეთელთა მიერ გაკეთებულ ეპიტაფიას არასდროს დააკლდება მზე და ცის ნამი.

ქალაქ ოზურგეთის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ ფიფია აჭარის დედაქალაქში მომხდარ ავტოსაგზაო კატასტროფას ემსხვერპლა. იგი საკუთარი ავტომანქანით ქალაქ ბათუმის შესასვლელში ტრაქტორს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავთო ფიფია ადგილზე გარდაიცვალა.

**ოზურგეთი და ოზურგეთელები.**

# ფონდი „სოხუმი“ გენდერულ გადატრიალებას აპირებს და ახერხებს კიდეც

„გენდერულ გადატრიალებას ვაპირებთ და ვახერხებთ კიდეც, ძალიან კარგი შედეგები გვაქვს ოზურგეთში“. — კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის“ ხელმძღვანელებმა ასეთ ოპტიმისტურ და მხიარულ ნოტზე დაიწყეს შეხვედრა „ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ ადგილობრივ ჟურნალისტებთან.

სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ორგანიზაცია კმაყოფილია სენაკში,ბათუმში, ქუთაისში, განსაკუთრებით კი ოზურგეთში მიღწეული შედეგებით.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ფონდში მოქმედი ამომრჩეველ ქალთა კლუბი, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. კლუბის წევრობაზე თანხმობა განაცხადეს შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტებმა.

შეხვედრაზე წინა პლანზე წამოიწია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ როგორც პრევენციული, ისე სხვა ქმედითი ღონისძიების გატარების აუცილებლობა. დასახელდა სხვა სოციალური თემებიც, რომლებიც აფერხებს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, განსაკუთრებით გენდერული თვალსაზრისით.

ღონისძიების კულმინაცია აღმოჩნდა ყოფილი უკანონო პატიმრის ფატი სურგულაძის გამოსვლა:

„წელიწადი და 4 თვე გავატარე ციხეში უდანაშაულოდ. სასამართლო 35-ჯერ შეიკრიბა და პროცესი ერთხელაც არ დამთავრებულა,ისე მომისაჯეს 2 წელი პატიმრობა და 6 წელი პირობითი. იძულებული გავხდი, ყველაფერი ჩემს თავზე ამეღო. ჩემთან ერთად ისხდნენ ქალები შვილების და მეუღლეების გულისთვის. ვერ წარმოიდგენთ იქ რა ხდებოდა. 3 ათასზე მეტი ქალი იხდიდა სასჯელს. ერთ ქალბატონს მუდმივი პატიმრობა 2-ჯერ ჰქონდა მისჯილი. ახლა გამოვედი და მალავენ,რომ მოხსნილი მაქვს ყველაფერი. განაჩენში მეწერა,რომ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ სამი წელი ვერ დავიკავებდი თანამდებობას. სამ წელზე მეტია გასული,მაგრამ,სამწუხაროდ,ჩემი შემდგომი ბედით არავინ დაინტერესებულა,მათ შორის არც ამჟამინდელი ხელისუფლება,არავინ შემხმიანებია“... — თქვა ფატი სურგულაძემ.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ფატი სურგულაძის უდანაშაულოდ ცნობისა და საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით. მიმართავენ შესაბამის ორგანიზაციებს, ჟურნალისტები მოამზადებენ შესაბამის საგაზეთო მასალას. კონცეფციის დონეზე შემუშავდა თემები ფონდისა და კლუბის ოზურგეთში შემდგომი მუშაობისათვის.

# ქარის შეგინებისთვის სახალხოდ მოხდილი ბოდიში ნამდვილი ამბავი

*ყოფილი ქალაქის მერიის ყოფილ შენობაში, „ალიონის“ გარდა, მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია საქმიანობს, ზოგი კომფორტულად დაბინავებული, ზოგიც — შეხიზნული. შეხიზნულები, ქალებიც და კაცებიც, — სარგებლობენ ერთი საპირფარეშოთი, რომელიც მეორე სართულზე, დერეფნის ბოლოში მდებარეობს. დარწმუნებული ვარ, რაც მე იქ გადამხდა, მსგავსი რამ სხვასაც დაემართებოდა და თავს ამით ვინუგეშებ.*

*ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აქ ხშირად ცოცხალი რიგია, განსაკუთრებით ზამთარში, როცა სიცივე ძვალ-რბილში ატანს. აგერ ახლა, გურულები რომ იტყვიან, გუშხამ, მეც დამჭირდა ტუალეტით სარგებლობა. გამოცდილი მხვერავივით გამოვედი სამუშაო ოთახიდან, მეორე სართულზე, დერეფნის ბოლოს რიგში ხალხი რომ ვერ დავინახე, ნაბიჯს ავუჩქარე, აგაშენათ ღმერთმა-მეთქი, ჩემთვის ჩავილაპარაკე და ვილაცამ ზედ ცხვირწინ მომიხურა ტუალეტის კარი. შევცბი, ვიუხერხულე და უხმოდ უკან გამოვიცურცლე...*

*დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ, უკვე გაორმაგებული სიფრთხილით, ზუსტად იგივე მარშრუტი შევასრულე: ისევ მივედი ტუალეტის კარებთან, მივიხედ-მოვიხედე, ბოლო ნაბიჯიც გადავდგი და ვილაცამ ისევ მძლავრად მომიჯახუნა კარი... ვაიმე! არავინ დამინახოს-მეთქი, ორივე ჯიბეში ხელები სიმწრით ჩავიყავი და სამყენ ჯაყვასავით წელში მოკაკვულმა ძლივს ჩავათავე კიბის საფეხურები. გაყინულ სამუშაო ოთახში შესულს, თანამშრომელმა გოგონებმა სკამი შემომაგებეს, ცუდი ფერი გადევს, შეუძლოდ ხომ არ ხართო. არაუშავს, გამივლის-მეთქი, ჩავიბურდღუნე და კომპიუტერს მივუჯექი, მაგრამ თქვენმა მტერმა იმუშავა ისე, როგორც მე მაშინ ვიმუშავე.*

*სანამდე უნდა მეთმინა?! ვახსენე ღმერთი და ერთი საათის შემდეგ, უკვე შებინდებულზე, მესამედ გავსწიე მეორე სართულისკენ. სიბნელეშეპარებულ დერეფანში, გვარის არ დავასახელებ, ერთი ახვარი შემეჩეხა, მხარი გამკრა:*

*— კოკა ხომ ხარ შენ? — მისი ჭკუით მომესალმა, თუ ამას მისალმება ჰქვია.*

*— კი ვარ, მარა გადავსებული და თუ არ გამიშვი, აღარ ვიქნები, გამისკდა შარდის ბუშტი, — მივაძახე.*

*— დაგექცა დაბადება! — მომაწია ზურგში.*

*როგორც იქნა, მივლასლასდი იქ, „სადაც მეფეებიც კი საკუთარი ფეხით შედიან“ და ჰოი, საოცრებავ: ამჯერად უკვე პირდაპირ ცხვირპირში მხეთქა ვილაცამ ტუალეტის კარი. თვალთ დამიბნელდა... რომელი ხარ, შენი დედა-მეთქი!.. - გაჭრილად დავიყვირე ბოლო სიტყვა. ექომ ხურდა ფულივით უკან დამიბრუნა გინება. თვალი გავახილე, ტუალეტში არავინ და არაფერი ჭაჭანებდა, გარდა მინაჩალეწილი ფანჯრიდან შემოჭრილი ქარისა, რომელიც ისევ კარებს ეთამაშებოდა. მომეჩვენა, რომ დამცინავად სისინებდა კიდეც.*

*სასწრაფოდ ჩავიკეტე. ის იყო, ძლივს ჩემს საქმეს შევუდექი, რომ აბრუნდა კარებზე ბრახუნი:*

*— ვინ ოხერი ხარ და ვის აგინებ? — გაბრაზებული ქალის ხმამ ამოავსო ჭუჭრუტანა.*

*— ქარს ვაგინებ, ქალბატონო, ქარს და ბოდიშს გიხდით-მეთქი, — სირცხვილით ვინაობას როგორ გავამხელდი.*

*ეტყობა, ხმაზე მიცნო და იქაურობას გაეცალა, მაგრამ ვაი ასეთ გაცლას. პირველ სართულზე, ხუთიოდე წუთში, ვინც კი შემხვდა, ყველამ იცოდა, რომ ვილაც ქალს შევაგინე.*

*— ქალს კი არა, ქარს შევაგინე, ბატონებო, ქარს, კინაღამ რომ ჩამაფსმევინა და მაინც ბოდიშს გიხდით! — მივაძახე მოჭორავეებს, ვეღარ ავიტანე მათი მზერა და სამსახურშიც აღარ შემივლია, ისე გავეცალე იქაურობას...*

*კოკა თელია*

# ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

**ალიონი:** ქ. ოზურგეთის საკრებულომ, 10 დეკემბრის სხდომაზე მიღებული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 7 449,1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის გადასახადები — 350,0 ათასი ლარით; გრანტები—6338,1 ათასი ლარით; სხვა შემოსავლები — 761,0 ათასი ლარით.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ასიგნებანი შეადგენს 7449,1 ათას ლარს, მათ შორის ხარჯები — 6944.6 ათას ლარს, არაფინანსური აქტივები — 124,5 ათას ლარი, ვალდებულებების კლება — 380,0 ათას ლარს.

სოციალური დაცვის პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 327,3 ათასი ლარი. ეს თანხები გაიცემა მრავალშვილიან ოჯახებში ბავშვთა დაბადებისას, ვეტერანთა, შშმ პირების დახმარების პროგრამისათვის, ლტოლვილთა და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ მოქალაქეთა და ხანდაზმულთა, უსინათლოთა დახმარებისთვის; თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა და დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვთა დახმარებისათვის; უფასო სასადილოს და დღის ცენტრის დაფინანსებისათვის; ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადების გადასახდელად.

განათლების პროგრამებისთვის დაგეგმილია 1091,8 ათასი ლარის, კულტურის პროგრამებისთვის — 1396,6 ათასი, ხოლო სპორტული პროგრამებისთვის — 921, 4 ათასი ლარი.

2015 წლის სარეზერვო ფონდში 141,0 ათასი ლარი იქნება.

ბიუჯეტის თემაზე დებატები არ გამართულა.

განიხილეს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი განისაზღვრა 1591,6 ათასი ლარით. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 11 თვის მდგომარეობით შესრულდა 100 პროცენტით. შემოსავლების მობილიზების შედეგად ბიუჯეტში დამატებით იქნა მობილიზებული 350, 0 ათასი ლარი, რამაც საშუალება მისცა მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლუატაციის დაფინანსებისა.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა შესყიდვების გეგმაში: დოლიძის ქ. №9, ჭავჭავაძის ქ. №14-ში მდებარე ოთხსართულიანი სახლის სახურავის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 80 000 ლარი; თენიეშვილის ქ. №12-ში მდებარე ცხრასართულიანი სახლის სახურავის შეკეთება —1 500 ლარი; რუსთაველის ქ. №6-ში მდებარე ოთხსართულიანი სახლი — 20 000 ლარი; მეცნიერების ქ. №24-ში მდებარე ოთხსართულიანი სახლი — 40 000 ლარი; 9 აპრილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები — 80 000 ლარი.

დასრულდება იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე თორმეტსართულიანი და გურამიშვილის ქ. №14-ში მდებარე ხუთსართულიანი სახლის ფასადის სახლების წყალშეღწევისგან დაცვითი სამუშაოები, რაზედაც შესაბამისად 80 000 და 20 000 ლარი დაიხარჯება; ანასეულის დასახლებაში ამბულატორიის სარემონტო სამუშაოებზე 5 000, ხოლო რუსთაველის ქ. №28-ში მდებარე სპორტული კომპლექსის გვერდით ფასადზე თუნუქის მოსაწყობად — 9 000 ლარი.

საახალწლო საჩუქრებისთვის 4 500 ლარი, მედიცინის მუშაკთა დღის აღსანიშნავად — 400 ლარი, ხოლო საახალწლოდ ბავშვთა საჩუქრებისა და შეჭირვებული მოსახლეობისთვის — 4 100 ლარი გამოიყოფა.

საკრებულოს სხდომამ ცვლილებები შეიტანა 2014 წლის 7 ნოემბრის №35 დადგენილებაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციაში.

დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცებასთან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისის ფასისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზაციის წესის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ქ. ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ ინფორმაცია გააკეთა ანასეულში ლაბორატორიის მშენებლობასთან დაკავშირებით:

„გავრცელდა ინფორმაციები, თითქოს წინააღმდეგი ვიყავი ანასეულში ლაბორატორიის მშენებლობისა. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია, მაგრამ უნდა შევქმნათ კომისია, რომელიც შეისწავლის: რა ფორმით გადაეცა ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქონება კახა ბენდუქიძეს; რა პირობები იყო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული; აშშ იუსაიდის მიერ დაფინანსებული გრანტი ლაბორატორიის ასაშენებლად ითვალისწინებს თუ არა ნგრევას“.

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე ნანული ორაგველიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ ანასეულში, ყოფილი მრეწველობის ინსტიტუტის მეორე სართულზე მოხსნეს დარბაზი, ხოლო მეორე კორპუსში ხდება მარმარილოს ფილების აღება.

საკრებულომ ცვლილებები დაამტკიცა კომისიის წევრების შემადგენლობაში.

# თხინვალის რძალი – თენგელა ლორთქიფანიძე



გასული საუკუნის ორმოციან წლებში თბილისში, ვერის ხიდზე მომავალ გალაკტიონ ტაბიძეს მომხიბლავი გოგონა შეხვდა. უბადლო პოეტმა ხელები გაშალა და წამოიძახა: „რა მშვენებაა!“ ტანადნაგი, ქერა, მოცისფრ-მომწვანო თვალებიანი, სათნოებით სავსე, მომხიბვლელი სახის. ეს ქალიშვილი საერთო მოწონებას იმსახურებდა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი თენგელა გიორგის ასული ლორთქიფანიძე გახლდათ. მასთან ერთად სწავლობდა თხინვალელი, ასევე მოსაწონი გარეგნობის გალაქტიონ ანთიძის ძე ღლონტი. ისინი უნივერსიტეტის დამთავრებისას, 1950 წელს შეუღლდნენ. და ეს მომხიბლავი გოგონა თხინვალის რძალი გახდა. ამგვარად, გალაქტიონმა და თენგელამ მომავალი ცხოვრება ჩვენი სოფლის გამორჩეულ ოჯახს დაუკავშირეს. მამამთილი — ანთიმოზ ღლონტი მედიცინის მუშაკი იყო, დედამთილი — ანიჩკა ცინცაძე კი — მასწავლებელი. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თენგელასა და გალაქტიონის შეხვედრას, როგორც იტყვიან, არაფერი სჯობდა. ცნობილ ენათმეცნიერს, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ხმამაღლა უკითხავს: „ვინ არიან ეს დიდებული ადამიანები?“ ხელის ჩამორთმევით მისალმებია მათ.

წლები ადამიანებს თავის დაღს ასვამს, მაგრამ თენგელას და გალაქტიონის მნახველი ახლაც ვერ დარჩება გულგრილი.

შეუღლებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ გალაქტიონ ღლონტი — საინტერესო პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი მეტყველად იგონებს თენგელასთან ნაცნობობის პირველ წლებს:

„თვალწინ მიდგას წარსული,
დრო გზნებით გადასული.
სიკეთით დაღდასმული,
ტანკენარი ასული.
თვალს ხიბლავდა ყოველი,
ვით ნუკრი, უცოდველი,
სათნოების მთოვლი,
მგზნებარება ცხოვლი.“ (2007 წ.)

თენგელას მშობლები სახელოვანი გვარის წარმომადგენლები იყვნენ. დედა მღვდლის ქალიშვილი — მართიკო კირილეს ასული ქიქოძე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვიდან გახლდათ. ქიქოძეები სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ. ბახველი გახლდათ ფართოდ ცნობილი წმინდანი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე. თენგელაზე ფეხმძიმედ მყოფი, ბათუმში მცხოვრები მართიკო ბახვში მშობლებს სწვევია. მშობიარობის ჟამი მოულოდნელად დამდგარა და ბებიაქალობა იმხანად ცნობილ პარტიულ მუშაკს ნატალია მიქელაძე-ქიქოძეს უკისრია. ამიტომ მოწმობაში თენგელად დაბადების ადგილად ბახვია მითითებული. მამის მხარეს — ლორთქიფანიძეებს სიამოვნებდათ, რომ საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დედა მათი ახლობელი ლორთქიფანიძე იყო. მათ ეზოებს ერთი ღობე ჰყოფდა.

თენგელას მოღვაწეობასა და პიროვნებას შთამბეჭდავად გვაცნობს 1993 წელს გამოქვეყნებული წერილი, „ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს დაბადების საიუბილეო თარიღს ქალბატონ თენგელა ლორთქიფანიძეს, ჩვენი რედაქციის ღვაწლმოსილ მუშაკს, ვეტერან ჟურნალისტს, ათეული წლების განმავლობაში რედაქციის პასუხისმგებელ მდივანსა და სარედაქციო კოლეგიის წევრს.. საკმარისია ითქვას, რომ მისი სახელი დღესაც, როცა რედაქციაში აღარ მუშაობს, ის ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ სიმბოლოდ აღიქმება. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, ყველამ კარგად იცის მისი ცხოვრების კრედო: ღრმა პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება, უანგარობა, ზნეობრივი სისპეტაკე. დიდი გულისხმიერება და პრინციპულობა. აი, ის ძირითადი თანამდევი თვისებები, რომლებმაც ყველასათვის მისაბაძი გახადა მისი პიროვნება.

ქალბატონი თენგელა ქართულად თარგმნიდა და აქვეყნებდა ცნობილ მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას. იგი გახლავთ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი.

ქალბატონ თენგელა ლორთქიფანიძეს ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებ თავის ლამაზ ოჯახთან ერთად, საქართველოს კი — ამ ქალბატონის მსგავს მრავალ სანაქებო რძალს.

**ნოდარ ღონაძე,**

სოფელი თხინვალი

## ლიტერატურულ-მუსიკალური საათი მერიის საჯარო სკოლაში

## რა შეუძლია ლექსებს?!

ამ თემაზე ჩატარდა მერიის საჯარო სკოლაში ლიტერატურულ-მუსიკალური საათი. ღონისძიების მსვლელობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები. დარბაზს ამშვენებდნენ მოწვეული სტუმრები. ერთმანეთს ენაცვლებოდა სიტყვა, ლექსი, სიმღერა და ცეკვა.

მოსწავლეებისგან მინიჭებულ სასიამოვნო წუთებს თემატურად ერწყმოდა ანსამბლ ,,იადონის'' წევრების — ბიძინა მჟავიას, გურამ ღლონტისა და დიმა ბაქანიძის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები და საგალობლები. დარბაზი ინტერესით ისმენდა პედაგოგი პოეტის ნოდარ დონაძისა და მისი შვილიშვილის მიერ შესრულებულ სიმღერებს, მუსიკისა და პოეზიის მოყვარული პედაგოგების მანანა და ზირა ბაქანიძეების, ბადრი ვადაჭკორიას ნამღერ ,,სულიკოს''; მოსწავლეების — ცისია მოისწრაფეშვილის, დემეტრე ლომჯარიას მიერ წაკითხულ ლექსებს; გოგონათა ჯგუფის მიერ შესრულებულ ცეკვებს და სხვ.

აპლოდისმენტებით დასრულდა ღონისძიება, რომლის ორგანიზატორი და მასპინძელი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კათედრის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის მფლობელი, ქალბატონი ციური ქავთარაძე და მეშვიდე კლასის მოსწავლეები.

სკოლის დირექტორმა, ბატონმა ავთანდილ კეჭაყმაძემ, მადლობა გამოუცხადა ღონისძიების მონაწილე სტუმარმასპინძელს.

## საბავშვო ბაღები ზამთარს მომზადებული ხვდებიან

**ქეთი ბოლქვაძე**

ქალაქ ოზურგეთის საბავშვო ბაღები ზამთარს მომზადებული ხვდებიან.

ამის შესახებ ქალაქ ოზურგეთის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებო ცენტრის დირექტორმა ეკა ნინიძემ ,,ალიონთან'' გასულ კვირას გამართული საუბრისას განაცხადა.

,,ქალაქის ყველა საბავშვო ბაღი ზამთარს მომზადებული ხვდება. შენობები გარემონტებულია, ოთახები ბუნებრივი აირით თბება. რაც შეეხება კვებას, თუ შარშან ამ მიზნით საშუალოდ ერთ ბავშვზე დღიურად გათვალისწინებული იყო 1,20 ლარი, წლეულს 30 თეთრით გაიზარდა და 1,50 ლარს შეადგენს. ლარის ქრონიკული დევალვაციის შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ ქალაქის ხელისუფლება მიიღებს შესაბამის ღონისძიებას. ასე რომ, არ გვაქვს არსებითი ხასიათის პრობლემა'',— აღნიშნა ეკა ნინიძემ.

## ოზურგეთს „ფორდ კარგოს" ტიპის ორი ნაგავმზიდი მანქანა გადაეცა

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 13 და 19 კუბური მეტრი მოცულობის ,,ფორდ კარგოს''ტიპის ორი ნაგავმზიდი მანქანა მთავრობის განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით გადაეცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორ დამოუკიდებელ ერთეულად გაყოფის შემდეგ მუნიციპალიტეტს ერთი მანქანა დარჩა. ფინანსთა სამინისტროს დახმარებისთვის გურიის გუბერნატორმა მიმართა და სამინისტრომ ,,ჯი-თი-გრუპის'' მეშვეობით მუნიციპალიტეტს 361 000 ლარის ღირებულების ორი ერთეული ტექნიკა მიაწოდა.

მუნიციპალიტეტის პრესცენტრის ინფორმაციით დამატებით 60 ცალი სანაგვე ურნაც შეიძინეს.

# ფირალი სისონა დარჩია

**ენვერ გოგუაძე**

**დასაწყისი იხ. ალიონი №47,48 2014 წ.**



სესიკა დარჩია და მისი ოჯახი ესე გურიელის ყმებად ითვლებოდნენ. ესე გურიელი ვარდანის ძე გურიელთა ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშიერი იყო. რუს-ოსმალოს ომში მრავალგზის ნაბრძოლი და ჭირგადახდილი მამა-შვილი გიორგი და ესე გურიელი შეკვეთილთან დაბანაკებულ გურულ დრუჟინას სარდლობდნენ. ,,ყირიმის ომის აზიურ მონაკვეთზე''. 1853 წლის 15 ოქტომბერს, სისონას გაფირალებამდე 33 წლით ადრე, შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოზე თურქთა რეგულარული ჯარის-,,ნიზამისა'' და სახალხო ლაშქრის ,,ბაშიბუზუკების'' მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო ,,ლეგიტიმური ევროპის ავადმყოფი ადგილის - მარად თავსატეხი აღმოსავლეთის საკითხის'' მორიგი გამწვავების ნიადაგზე წარმოქმნილი ომი. ოსმალთა თავდასხმა განხორციელდა გურიელის ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელ უკუნეთში, სრულიად მოულოდნელად. შუაღამით ხუთი ათასზე მეტმა ოსმალთა რეგულარული ჯარის ნაწილებმა და ბაშიბუზუკებმა აილო ბეგ თავდგირიძის მეთაურობით. ერთდროულად მიიტანეს იერიში რუსთა სამსახურში მყოფ გურულთა სისხლითა და ძვლებით ნაგებ ფორპოსტზე. მოწოდების სიმაღლეზე დაუხვდა ისლამის სუნიტურ მხედრობას ფორტის მცველი რუსის ეგერები და გურულთა სახალხო ლაშქრის მცირერიცხოვანი რაზმი, რომელშიც სულ 500 მოლაშქრე იყო გაერთიანებული, აქედან 345 ქედფიცხელი გურული ჩაქუროსანი, უმრავლესი მათგანი სრულიად ახალგაზრდანი და უწვერულვაშონი. ესე გურიელი, რომელმაც განსაკუთრებული სიჩაუქით გაითქვა სახელი, ,,შეკვეთილის იერმოპილესთან'', იმხანად 16 წლისა იყო. შეკვეთილის ფორტის მისადგომები ,,ღელიბაშთა გვამებით'' დარეცეს გურულებმა, უთანასწორო ბრძოლა 7 საათს გაგრძელდა. თურქული იატაგანით გულში სასიკვდილოდ დაჭრილმა გიორგი გურიელმა დრუჟინას სარდლობა მისსავე გვერდით ხმალდახმალ მორკინალ ესე გურიელს გადაულოცა და ,,სანავარდოდ გაჭრილმა ვეფხვმა'', ერთი თვე იცოცხლა ამ სასიკვდილო დაღდასმის შემდგომ. თაობიდან თაობაში გადადიოდა, როგორც მარადისობის მარად უკვდავი გადაძახილი, სიკვდილის წინ ამ დიდი მამულიშვილის მიერ შთაგონებით ნათქვამი: ,,ნუ ფიქრობთ ჩემზე, ჩემი სიკვდილი ერთი კაცის სიკვდილია, გაამართლეთ ნდობა. დაამტკიცეთ, რომ ისევ ის გურულები ხართ, რომელთა მიწა ოსმალებისათვის ყოველთვის სამარე იყო''. ღირსეული მამის საქმე ღირსეულმა მემკვიდრემ განასრულა. ესე გურიელი ბოლომდე დარჩა ბრძოლის ველზე სიკვდილთან პირისპირ სიცოცხლე მოუსწრაფებელ გურულ ჩაქუროსნებთან ერთად. იგი ,,ვეფხისებრ'' უმკლავდებოდა ბაშიბუზუკთა მრავალრიცხოვან მხედრობას მაშინაც კი, როცა მის გვერდით მდგომი ორი გურული ვაჟკაცი გიგინეიშვილი და წითლიძე გმირულად განიგმირნენ. მხოლოდ უკანასკნელ წუთებში, ბრძოლის დასასრულის ჟამს, რამდენიმე გურულმა მოლაშქრემ, რომლებიც რაღაც სასწაულებრივად ცოცხლები გადარჩენოდნენ სიკვდილს, ,,გამართეს მკლავი'' და მსგავსად ლაკედემონელ სპარტანელთა გმირობისა, ხმლებით გაიკაფეს გზა ,,ღელიბაშთა ალყაში მოქცეულ განწირულ გურულისაკენ, ,,როგორც ლომებმა, უკუნეთში სიკვდილის ველზე გარდაიარეს სისხლის გუბე და გვამთა გროვა'' და სამშვიდობოს გაიყვანეს თურქული იატაგანით მრავალგზის აჩეხილი თავადი. ასეთი იყო პირველი საბრძოლო ნათლობა და დაუვიწყარი ღვაწლი მშობელი ქვეყნის წინაშე ახალგაზრდა გურიელისა, რომელსაც გვარ-ჯილაგის ამოგდებასა და ამოშანთვას უპირებდა ჯერ ,,ნაროდნიკული სოციალიზმით'', ხოლო შემდგომ ,,ჩრდილოეთის პირქუშ ქართა საუფლოდან'' ძალისძალად, თოფიანი აგიტატორის მიერ გადმონერგილი ,,მარქსიზმით გონებადაბანგული გურული გლეხობა, როგორც კლასობრივ მოქიშპეს'', რომლის ერთ-ერთი უპირველესი და უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი სიმონა სესიკას ძე დარჩია იყო. 26 წლის ასაკში სისონას მრავლად ჰქონდა დათხეული სისხლი, მაგრამ არა სამშობლოს მტრებისა და კლასობრივ მოქიშპეთა, არამედ ღვიძლი მამისა და მეზობელი გლეხების — გიგო ჩხარტიშვილის ახლობლებისა. თანაც ეს სისხლი, მართალთა და უდანაშაულოთა, დაქცეული იყო არა ბრძოლის ველზე, არამედ დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიაში. სისონას გაფირალებამ შეაშფოთა გურიის საზოგადოება და მმართველი ადმინისტრაცია. სესიკა დარჩიას ოჯახი მანამდე შემჩნეული იყო ფირალებთან ურთიერთობაში, ,,გავარდნილი ფირალები'' ღამეს ათევდნენ აქ და ვახშმასაც მადიანად მიირთმევდნენ, როგორც სანდო თანაგუნდელისას მყოფნი.

აღებულ ხანაში, - როგორც ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია გადმოგვცემს, უდაბური და უსიერი ტყეებით გარემოცული ოზურგეთიდან დამაკავშირებელი თითქმის საცალფეხო გზები მექაში მიმავალ მაჰმადიან მომლოცველთა საქარავნო გზების ანალოგიას წარმოადგენდა, საცა, მსგავსად მომთაბარე ბედუინებისა, გურულ ფირალთა უეცარი გაელვება და გამოვარდნა მუდმივ საშიშროებას უქმნიდა მგზავრებს. სისონას ფირალად გასვლის შემდეგ ხსენებული ,,გზები'' კიდევ უფრო საშიში და სახიფათო შეიქმნა. ,,ნატანებიდან ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზედ სოფლები არ ჩანს. მთელი 10-12 კმ-ის მანძილს ისე გაივლის კაცი, ორ-სამგან თუ შეხვდება გზის პირად გადმომდგარ სახლებს. უმეტესი ნაწილი გზის იქეთ-აქეთ მდებარე ადგილებსა და დაბურულ ტყეს უჭირავს, გარშემო გამეფებულ მყუდროების დარღვევას ვერავინ ვბედავდით..." (სოფელ) მერიას მოვატანეთ. მე-7 თუ მე-8 კილომეტრია ნატანებიდან... გზა ისევ დაბურულ ტყეზე მიდის. ტყეს სიმინდის ყანები მოსდევს, ყანებს — ისევ ტყე და ასე მიდის მთელი გზა. ერთ-ორგან უდაბურ ადგილას, გზის პირას ფარღალალა კარვები შეგვხვდა. შიგ შეიარაღებული გლეხები იდგნენ ცეცხლის გარშემო. ესენი იყვნენ მცველნი მგზავრთა, მათი უზრუნველთმყოფელნი... ამ ოთხი წლის წინად დარჩიას, ნიკოლაიშვილის, მიქელაიშვილისა და სხვა ცნობილ ფირალთა მარტოოდენ სახელის გაგონება შიშის ზარს სცემდა ამ გზით მოსიარულეთ, განსაკუთრებით ვაჭრებს. მეტისმეტი გაჭირვება თუ გააბედვინებდა მგზავრს ამ გზით სიარულს. ისიც, ზარბაზნის გარდა, ყოველგვარი იარაღი ზედ უნდა აესხათ უეჭველად''... ფირალი თარეშობდა მანამ, სანამ არ მოჰკლავდნენ სადმე, საკვირველი ის იყო, რომ მოკლულს გაცვებას არც კი აცლიდნენ, მაშინვე მის ადგილას მეორე ჩადგებოდა, გაიჩენდა ამხანაგებს და ძალს უფრთხობდა ყველას. ხალხი წელში წყდებოდა, რა ღონეს არ ხმარობდა ფირალების ამოსაძირკვავად, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც ბოლო არ ეღებოდა, იტყოდით, ერთხანს თითქოს დასცხრენო, ეს არის, თავისუფლად ამოვისუნთქეო, გაიხედავდით და ერთბაშად თოფის წამალივით იფეთქებდნენ. თან, არავინ ფიქრობდა, გურულის ბუნება გაეცნო, მისი თვისება გამოეკვლია. აქაც იმავე ზომას ხმარობდნენ, რასაც სხვაგან სრულებით განსხვავებული ტემპერამენტის ხალხთან. ეს აეწონა-დაუწონლობა იყო მიზეზი, რომ ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა და გურიის ფირალობა საბედისწოროდ დაჰყოლოდა''.

სისონას გუნდში თავზე ხელაღებულმა ფირალებმა მოიყარეს თავი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: სოფელ მელექედურის მკვიდრი დათა როსტომის ძე მიქელაშვილი, ილარიონა დათუნაიშვილი, ,,სისონას ძმაი'' ვასილა დარჩია, შეძლებულ ვაჭრებზე დამცემი ძმები კახიძეები, თედორე ასკურავა, ვლადიმერ ჟღენტი. ვასილას სისონას გენი მოსდგამდა. სიცქაფესა და მიზანმიმართულ სროლაში, მართალია ცოტათი ჩამოუვარდებოდა თავზეხელაღებულ ძმას, მაგრამ ზოგიერთ რამეში აღემატებოდა კიდეც. ,,ყალბი პეჩატების კეთება იცოდა იმფერი, ნამდვილში ვერ გაარჩევდი.

**გაგრძელება იქნება.**

## დიდი მადლობა დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს!

ჩემს შვილს აქვს გაფანტული სკლეროზი. სჭირდება მუდმივი მკურნალობა და ძვირადღირებული მედიკამენტები, რომელიც ჩემი ოჯახის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. დასახმარებლად მივმართე მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს პრესსამსახურის უფროსს, ქალბატონ ნინო კუკულაძეს, რომლის მეშვეობით ზვიად კვაჭანტირაძემ მიშუამდგომლა ჯანმრთელობის მინისტრთან, საიდანაც მივიღე ოფიციალური წერილი, რომ ჩემი შვილისთვის მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხა დაფინანსებულია.

დიდი მადლობა მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს ამ სიკეთისათვის!

**ნანი თოიძე,**
ქალაქი ოზურგეთი.

## ხსოვნა

## ლილი მამულაიშვილი



ჩემო ლილი! თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაგვტოვე, მაგრამ ერთი წუთითაც კი არ შენელებულა შენდამი სიყვარული და პატივისცემა. ნამდვილი ტრადიციული ქართველი ქალი იყავი — ოჯახზე და ოჯახის ახლობლებზე უზომოდ შეყვარებული. ჩვენი სიყვარული და ურთიერთობა ხომ ბავშვობიდან მოდის. 21 წლისანი ვიყავით, რომ შევერთდით და ორმოცდაექვსი წელი ერთად ვზიდეთ ცხოვრების მძიმე ტვირთი. მართალია, გალაღებული ცხოვრება არ გვქონია, მაგრამ მაინც სიამტკბილობით ვცხოვრობდით. განსაკუთრებული ნიჭი და უნარი გქონდა სტუმრის მიღებისა. სულ ფეხზე იდექი ჩემი მეგობრების სტუმრობის მოლოდინში. სუფრის გაწყობის შემდეგ, ყველას ჩამოუვლიდი და სათითაოდ გადაკოცნიდი. მუსიკალური ოჯახი გვქონდა. სიმღერით ვლებულობდით და სიმღერითვე ვაცილებდით სტუმრებს, რითაც ისინი ძალიან იხიბლებოდნენ. შენი ხელშეწყობით და დახმარებით დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და მრავალი წელი რომ ღირსეულად ვიმუშავე ხელმძღვანელ სამუშაოებზე, ესეც შენი დამსახურება იყო. ოჯახში რომ აგრონომობა წამართვი და ჩვენი ეზო ბაღნარს დაამსგავსე, ამაშიც შენ იყავი მთავარი ,,დამნაშავე''. სამივე შვილს მივაღებიეთ სათანადო განათლება და დავაოჯახეთ. ხარობდი შვილიშვილებითაც და მათ ლამაზ ხუთეულს ეძახდი. ოცნებობდი, მოგესწრებოდა ნიკუშას შვილი, რასაც სამწუხაროდ ვერ მოესწარი. გაჩნდა პატარა ამირანი, რომელიც ახლა 14 წლისაა და მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლეა.

ჩემო ლილი! შენს მერე დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ულმობელმა სენმა წაგვართვა საყვარელი რძალი თამილა და მეორე წელია ოზურგეთის საავადმყოფოს ერთი ვაიექიმის წყალობით, გამოგვაკლდა ჩვენი უსაყვარლესი შვილი, გამოჩენილი მომღერალი ნონა - შენი ტიპიური განსახიერება, შენი ნამდვილი ალი და კვალი.

არასოდეს დაგივიწყებთ.

შენი **ამირანი.**

## ქიქიკო დარჩია



სევდით, დარდითა და მონატრებით გავიდა 8 წელი შენი გარდაცვალებიდან, ჩემო საყვარელო მამა. შენ ხომ სტუმართმოყვარე ,კეთილი და საუკეთესო მამა იყავი. .გული მტკივა, რომ ჩემს ბედნიერებას ვერ მოესწარი და შენი შვილიშვილი პატარა ანასტასია ვერ ჩაიკარი გულში. მას ის დიდი სიყვარული ვერ აჩუქე, რაც შენს სპეტაკ სულში იბუდებდა. ახლა ისღა დამრჩენია, მოვეფერო შენს საფლავს, აგინთო სანთლები, სადაც შენისთანა მოსიყვარულე და კეთილი ადამიანები განისვენებენ.

**შენზე უზომოდ მონატრებული მეუღლე და შვილი მარიკა დარჩია.**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე